განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მართვა (მენეჯმენტი) (ისწავლება ინგლისურ ენაზე)
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2018 წლის 22 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

უმაღლესი სასწავლო დაწესებულების (უსდ) საინფორმაციო პროფილი

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მმართველობა (მენეჯმენტი) (ისწავლება ინგლისურ ენაზე)
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0203
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პანდელის იპსილანდისი თესალის ტექნოლოგიური განათლების ინსტიტუტი, საბერძნეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თეა კასრაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ბექა მარუაშვილი RSM Georgia LLC, საქართველო

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა შემოთავაზებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (თბილისი) ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტის მიერ. ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტი (ბმ) იყო სშზუ-ს პირველი ფაკულტეტი, რომელიც დაარსდა 1995 წელს. მას შემდეგ, ბმ ფაკულტეტი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფაკულტეტი, რომლის პროგრამებზე, უნივერსიტეტის გადმოცემით, არის მაღალი მოთხოვნა როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზარზე. მართვის ბაკალავრის პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთს ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული ხუთი საბაკალავრო პროგრამიდან (დანარჩენი მენეჯმენტის, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის, მარკეტინგის და ტურიზმის პროგრამებია). სწავლის პირველი ორი წლის განმავლობაში კურსები საერთოა ყველა პროგრამისათვის.

მართვის პროგრამა 4 წლიანია, 240 ECTS კრედიტით, პროგრამა მთლიანად (ანუ ლექციები, სემინარები, ვორქშოპები, სასწავლო მასალა და ა.შ.) ინგლისურ ენაზეა. იგივე პროგრამა შეთავაზებულია ქართულ ენაზეც, მაგრამ ეს პროგრამები მთლიანად განცალკევებულია (არა აქვთ საერთო სასწავლო ელემენტები და აქტივობები).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა პარასკევს, 22 ივნისს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში (SER), პროგრამის აღწერის დოკუმენტი პროგრამის ყველა ელემენტის დეტალური სილაბუსების, უნივერსიტეტის რეგულაციების დოკუმენტების, დასაქმების ბაზრის კვლევის შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის აქტივობების, SWOT ანალიზის, სამოქმედო გეგმის, აკადემიური პერსონალის CV-ის და სხვ. თანხლებით.

ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნით, დამატებით წარმოდგენილ იქნა მონაცემები სტუდენტთა ჩარიცხვებისა და მოსწრების, ასევე, აკადემიური პერსონალის თაობაზე.

ვიზიტის პროცესში, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის მართვის გუნდს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, პროფესორ-მასწავლებლებს (როგორც აფილირებულ წევრებს, ისე მოწვეულებს), პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ვიზიტის დროს გასაუბრებაში მონაწილე სტუდენტები შერჩეულ იყვნენ შემთხვევით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და არა უნივერსიტეტის მიერ. ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისა და დისკუსიებში ღიად და გულახდილად მონაწილეობისათვის. ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე ვიზიტის პერიოდში დაკმაყოფილდა პროფესიულად და ეფექტიანად.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველას თანამშრომლობისა და დისკუსიებში ნაყოფიერად მონაწილეობისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

განსახილველი პროგრამა არის ბაკალავრის საფეხური მართვის ფაკულტეტზე. მისი მიზნები, უნივერსიტეტის მისიის თანახმად, არის მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა ბიზნესის მართავში და მოამზადოს კურსდამათავრებულები, რომლებსაც შეეძლებათ დასაქმდნენ სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში (წარმოება და ბიზნეს-სტრუქტურა),

სადაც ისინი პრაქტიკულად შეასრულებენ ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფთან თანამშრომლობით. უნივერსიტეტის კვლევებმა, დასაქმების ეროვნულმა სტატისტიკამ და დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან დისკუსიების შედეგად მიღებულმა მტკიცებულებებმა აჩვენა, რომ შრომის ბაზარზე არსებობს მოთხოვნა ასეთი სპეციალიზაციის კურსდამთავრებულებზე .

საერთო ჯამში, პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი განათლების მიღებას, რასაც პირდება დაინტერესებულ პირებს. პროგრამის ძლიერი კონკურენტუნარიანი მახასიათებელია ის, რომ იგი შემოთავაზებულია ხარისხიან განათლებზე ფოკუსირებული აღიარებული უნივერსიტეტის მიერ, ხელს უწყობს პროდუქტიული სასწავლო გარემოს შექმნას, მხარდაჭერილია გამოცდილი და კომპეტენტური პედაგოგებითა და ძლიერი ხელმძღვანელობით. პროგრამის ფარგლები იძლევა ბიზნესის გარემოსა და მენეჯმენტის ფუნქციებზე, ხოლო შემთხვევის შესწავლის ანალიზის მეშვეობით, პრაქტიკულებითა და პროექტზე მუშაობით სტუდენტებს უვითარდებათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები. პროგრამის ადმინისტრირების გუნდი მუშაობს მის შემდგომ გაუმჯობესებაზე ბენჩმარკინგის (სამიზნე ნიშნულების) მეშვეობით და ითვალისწინებს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარების არსებულ ტენდენციებს. გარკვეულ სფეროებს, როგორებიცაა ინფორმაციის თანამედროვე სახით გამოყენებას ოპერირებისთვის, ასევეა საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების გამოყენებას ბიზნესის ოპერირებისა და სტრატეგიისათვის ნაკლები ყურადღება ექცევა და ცალსახად საჭიროა მათი გაძლიერება.

სასწავლო პროცესი საკმაოდ კარგადაა ორგანიზებული და კარგად ჩამოყალიბებული სილაბუსები ხორციელდება პედაგოგების მიერ, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ განსხვავებული სწავლების მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა მათ საგნებში სწავლის შედეგების მისაღწევად. სწავლის მეთოდები ხელს უწყობენ კრიტიკულ აზროვნებასა და საკომუნიკაციო უნარების გაუმჯობესებას. თვითსწავლების მოთხოვნები საკმარისია იმისათვის, რომ სტუდენტები გახდნენ პასუხისმგებელნი საკუთარი სასწავლო პროცესის მართვაზე. თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს შორის ბალანსი პროგრამების შინაარსში, მტკიცე საკომუნიკაციო უნარები ინგლისურ ენაში, პროგრამის საერთაშორისო ხასიათი ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებში როგორც აკადემიური, ისე პიროვნული უნარების განვითარებას, ხდის მათ ძალიან კონკურენტუნარიანებად შრომის ბაზარზე, რაზეც მეტყველებს კურსდამთავრებულთა დასაქმების ანგარიშები და დამსაქმებელთა მოსაზრებები.

შემდეგ, პროგრამის შემუშავებისადმი მიდგომა უნდა იყოს ინტეგრირების გზით, ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობითა და ურთიერთქმედებით. ამ ჩარჩოს ფარგლებში, პროგრამის სწავლის შედეგების ხელახლა განსაზღვრის უფრო მოკლე და ინტეგრირებული გზაა საჭირო, ვინაიდან მიმდინარე პროგრამის სწავლის შედეგების უზარმაზარი რაოდენობა (სულ 39) იწვევს ბუნდოვან ეფექტს და არ ასახავს პროგრამის ძლიერ მხრეებს. ამავე მოსაზრებით, პროგრამა კიდევ უფრო გაძლიერდებოდა ნაკლებად რელევანტური სავალდებულო კურსების ჩანაცვლებით ახალი, თანამედროვე ბიზნეს ფუნქციებისადმი უფრო რელევანტური საგნებით, რომლებიც ამჟამად შეთავაზებულია არჩევით კურსებად, თუმცა, მათი სწავლის შედეგები, ასევე, კარგად შეესატყვისება პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამა მიეწოდება პედაგოგთა გამოცდილი და პროფესიულად კომპეტენტური ჯგუფის მიერ, როგორც აკადემიური პერსონალიდან, ისე ინდუსტრიიდან, რომელთაც წვლილი აქვთ შეტანილი პროგრამის შემუშავებაში, ძირითადად, ინდივიდუალურად კურსების სილაბუსების მოწოდებითა და ერთობლივად - სექტორულ კომიტეტებში მუშაობით.

კოლექტიური მიდგომა, როცა პედაგოგები და სხვა დაინტერესებული მხარეები აქტიურად მონაწილეობენ მთლიანი პროგრამის მიმოხილვასა და სამომავლო განვითარებაში, იქნებოდა უაღრესად სასარგებლო. პროგრამის განვითარების პარალელურად, სასურველია მოწვეულ პროფესორთა და კერძო სექტორის წარმომადგენლების ჩართვის გაძლიერება მის მიწოდებაში.

პროგრამა ხორციელდება კარგად მოვლილ შენობა-ნაგებობებსა და სასიამოვნო გარემოში. IT ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული სწავლის პლატფორმა, საგანმანათლებლო პროცესის მართვის სისტემა, ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგთან, სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან და ჟურნალებთან უზრუნველყოფილია სტუდენტებისათვის როგორც კამპუსში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ადმინისტრაციული სერვისები კარგად ორგანიზებულია და მიმართულია სტუდენტთა როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ მხარდაჭერაზე. უნივერსიტეტის მცირე ზომა ქმნის შინაურულ გარემოს, სადაც სტუდენტები თავისუფლად მიმართავენ მასწავლებლებს, სასწავლო პროგრამის ადმინისტრატორსა და პროგრამის კოორდინატორს მითითებებისა და დახმარების მისაღებად. უნივერსიტეტი უქმნის სტუდენტებს მონაწილეობის შესაძლებლობებს კვლევით კონფერენციებში, კონკურსებში და სხვა კურიკულუმის- გარე აქტივობებში. ჯილდოები და სტიპენდიები გათვალისწინებულია დამსახურებაზე დაფუძნებული სისტემის მიხედვით, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება იგივე შესაძლებლობების შეთავაზებას საერთაშორისო სტუდენტებისათვის.

ყურადღებამისაქცევია ინტერნაციონალიზაციის საკითხი, რომელსაც უფრო სისტემატური ძალისხმევა ესაჭიროება. ამჟამად პროგრამა ფინანსურად მდგრადია; თუმცა აპლიკანტების რაოდენობისა და ჩარიცხვების შემცირება სიგნალია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ პროგრამის უფრო ეფექტური მარკეტინგი უნდა წარმართოს.

მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები სახეზეა და იმართება ძლიერი, ენთუზიასტი და თავდადებული პირების მიერ. გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში და პროგრამის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაუმჯობესებაში. მოქმედი აკადემიური რეგულაციები და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო ძალიან სრულყოფილი და გამჭვირვალეა. პედაგოგთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში ხელს შეუწყობს უფრო ძლიერი ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. თვითშეფასებისა და გარე შეფასების ანგარიშების საფუძველზე გაუმჯობესების თავდაპირველი სამოქმედო გეგმა შესაძლოა განსახილველი გახდეს პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის მიერ.

- **რეკომენდაციები**

უნდა გადაიხედოს მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები პროგრამისათვის. ეს დაეხმარება პროგრამის პოპულარიზაციას არა მარტო პოტენციურ სტუდენტებში, არამედ პოტენციურ პარტნიორ უსდ-ებშიც. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გარე კომუნიკაციების კუთხით, არამედ შიდა სარგებლობისათვისაც, რადგან იგი განსაზღვრავს პროგრამის სტრუქტურას, შენაარსს, სწავლების მიდგომებსა და თითოეული კურსის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გაძლიერდეს საინფორმაციო მართვის სფეროებში დასისტემებში, ასევე საოპერაციო მართვაში.

სწავლის შედეგების კურსების დონეზე რაციონალიზაცია იმგვარად, რომ მათი მიღწევა იყოს გაზომვადი და შემდეგ შემუშავებული "კომპეტენციების რუკა" აჩვენებდეს კურსებისა და პროგრამის დონის სწავლის შედეგებს შორის კავშირს, მოგვცემს ამ უკანასკნელის მხარდაჭერის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს და საერთო ეტალონს პროგრამის მმართველი და პედაგოგიური პერსონალისთვის.

აკადემიური პერსონალის ტრენინგი სწავლის შედეგების განსაზღვრის მიზნით და მათი დაკავშირება შეფასების სტრატეგიებთან. კარგი გამოცდილება შესაძლოა გაზიარებულ იქნეს აკადემიურ პაროსნალში.

საოპერაციო მენეჯმენტის სფეროს საგნებუ გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის სტრუქტურაში, რადგან ეს ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის ძირითადი ფუნქციური სფეროა. პროგრამები, რომლებიც გამოყენებულ იქნა სამიზნე ნიშნულებისთვის კარგი პრაქტიკის მაგალითებს უზრუნვლეყოფენ.

პროგრამას განვითარება ჭირდება ინფორმაციის სტრატეგიულ გამოყენებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემაში დღევანდელი ბიზნესის პირობებში, ან ამ სფეროში სპეციალური კურსების შემოღებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ან უნდა გახდნენ შესაბამისი მენეჯმენტის კურსის კონკრეტული და მნიშვნელოვანი ნაწილები.

განიხილეთ მენეჯმენტის მოდულის ზოგიერთი არჩევითი კურსის გადატანა ძირითადში, რადგან ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებულნი პროგრამის სწავლის შედეგებთან (მაგ. ,,კორპორატიული კომუნიკაცია," ხარისხის მართვა" "), ერთ-ერთი საგნის "ტურიზმის შესავლის" ამოღებით ძირითადიდან და არჩევით საგნებში გადატანით..

კურსის მიზნის, შენაარსისა და სწავლის შედეგების საფუძველზე, ყველა საგნის წინაპირობები ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული დაწესებულების მიერ. მაკროეკონომიკის საგანს მეორე სემესტრში არ აქვს წინაპირობები, რომლის შესწავლაც რთულია მიკროეკონომიკის გარეშე. ამდაგვარადვე, ,,სტატისტიკის შესავლისა" და ,,ალბათობის" კურსს მინიმუმ მათემატიკის ცოდნა ჭირდება. I. B2B მარკეტინგს მეექვსე სემესტრში არ აქვს ,,მარკეტინგის პრინციპები, როგორც წინაპირონბა.

შექმენით მექნიზმები რათა გამოუმუშაოთ პედაგოგებს "პროგრამის მფლობელობის" შეგრძნება. გამოკითხულმა პედაგოგებმა (როგორც აკადემიურმა, ისე მოწვეულმა) კარგად იციან თავიანთი საგნები, თუმცა ნაკლებად მთლიანი პროგრამა. სწავლების მეთოდებზე ტრენინგი, შედეგებზე დამყარებული მიდგომის გამოყენება, კარგი გამოცდილების გაზიარება, პროგრამის მიმოხილვაში აქტიური მონაწილეობა და ა.შ. შეიძლება იყოს ეფექტური ინსტრუმენტები პროგრამის შემუშავებაში.

მუდმივად გადახედეთ და განაახლეთ სილაბუსების ლიტერატურა, როგორც სახელმძღვანელოები, ისე მითითებული მეცნიერული ნაშრომები.

პროგრამის შემუშავებისას უზრუნველყავით კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ეფექტური წარმომადგენლობის მონაწილეობა.

- გაზარდეთ ურთიერთობა ყველა კურსდამთავრებულთან, ხელი შეუწყვეთ მათ მონაწილეობას პროგრამის/ფაკულტეტის აკადემიურ და სოციალურ აქტივობებში და შეარჩიეთ ბიზნესსა და მენეჯმენტში წარმატებული პირები, რომელთა ჩართვაც შესაძლებელი იქნება პროგრამის შემუშავებაში.
- შეარჩიეთ ბიზნესის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის პროფილს და ჩართეთ ისინი პროგრამის შემუშავებაში.

- დააწესეთ ყველა დაინტერესებულ მხარეთა ფორმალური შეხვედრები.

შეიმუშავეთ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის უკეთესი მარკეტინგული სტრატეგია:
- გადახედეთ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულებებს და შეარჩიეთ აქტიური პარტნიორები. გაზარდეთ პროგრამის ხელშეწყობა პარტნიორების შორის.
- დასახეთ სტუდენტთა გაცვლის პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის, რომლებიც სასწავლო ვიზიტებზე არიან სხვა უნივერსიტეტებში. აკადემიური პერსონალი უშუალოდ უნდა იყოს ჩართული მობილობის ხელშეწყობაში.
- მოიწვიეთ უფრო მეტი უცხოელი პედაგოგი პროგრამის განსახორციელებლად..

თვითშეფასების ანგარიში უნდა იყოს უფრო ანალიტიკური და კრიტიკული პროგრამის მიმოხილვის ყველა ასპექტში, უნდა იყოს საჯარო აკადემიური საზოგადოებისათვის და განხილული პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა ფორმალურ შეხვედრებზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

შემუშავდეს პროგრამის უფრო კარგი მარკეტინგის პროგრამა. მას შემდეგ, რაც პროგრამის აპლიკანტთა და ჩარიცხულთა რაოდენობა შემცირდება, ადმინისტრაციამ უნდა განიხილოს ფორმალური მარკეტინგული გეგმის შემუშავება სტუდენტთა მოსაზიდად, როგორ ადგილობრივად, ისე საერთაშორისო მასშტაბით (სპეციფიკური სამიზნე ბაზრების განსაზღვრა, შზსუ-ში სწავლის ძლიერი მხარეების რეკლამირება, მიზნობრივი სარეკლამო საქმიანობა და სხვ.).

პროგრამის ფინანსური მდგრადობა მიღწეულ უნდა იქნეს ხარისხის გაუმჯობესებით და სტუდენტებისათვის უფრო მიმზიდველად გადაკეთებით.

გაიზარდოს პროგრამაში სამეწარმეო ასპექტები, ამისათვის გამოყენებულ იქნეს ახლადშექმნილი ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრი.

მოხდეს ინტერნატურისა და საბაკალავრო ნაშრომის ინტეგრირება. სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას და მათი საბაკალავრო ნაშრომი ეხება პრობლემას ან სიტუაციურ ანალიზს, რომელსაც წააწყდნენ ინტერნატურის პერიოდში, მისი დაკავშირებით შესაბამის თეორიულ ცოდნასთან.

შეეცვალოს კურსებს სახელწოდება მათი მოცულობიდან და სიღრმიდან გამომდინარე, სახელწოდებაში "შესავალი"-ს და "პრინციპები"-ს გვერდის ავლით, რადგან ისინი მიუთითებენ უფრო დაბალ დონეს ან მოკლევადიან კურსებს.

განიხილეთ პროგრამის ან ფაკულტეტის დონეზე ინდუსტრიულ მრჩეველთა საბჭოს დაარსება, რომელიც ფორმალურად მიიღებს მონაწილეობას პროგრამის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებაში.

დაამყარეთ კავშირები და თანამშრომლობა დარგის პროფესიულ ასოციაციებთან.

წაახალისეთ სტუდენტთა ჩართულობა კვლევებში (მაგ. მოიძებნოს ინდუსტრიული სპონსორი, რომელიც დააწესებს ჯილდოს კვლევითი სამუშაოსათვის ბიზნესის გარკვეულ სფეროში და სხვ.).

შემოიღეთ დამატებითი აკადემიური მოთხოვნები უცხოელი სტუდენტის მიღებაზე (მაგ. ინტერვიუ, მიზნის განაცხადი/სამოტივაციო წერილი, სამეცნიერო მუშაობა და ა.შ.).

განიხილეთ დამსახურებაზე დაფუძნებული ფულადი ჯილდოს გაცემა უცხოელ სტუდენტებზეც.

არსებული კამპუსის ნაგებობები საჭიროებს განახლებას იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი გახდეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისათვის.

ბიზნესის ფაკულტეტის თითოეულ პროგრამას უნდა ჰყავდეს საკუთარი აკადემიური პროგრამის კოორდინატორი სპეციფიკური აკადემიური გამოცდილებით.

აკადემიური პერსონალისგან (მინიმუმ აფილირებული პერსონალისგან მაინც) მოითხოვეთ, რომ საქმიანობის წლიურ ანგარიშთან ერთად დამატებით წარმოადგინონ პირადი განვითარების 1-2 წლიანი გეგმა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს სწავლების უნარების, დაგეგმილი კვლევების, სამეცნიერო საქმიანობის აქტივობებს, რომელთაც განიხილავს უნივერსიტეტი და შეთანხმებული იქნება მასთან. პერსონალის განვითარების ფინანსირება შესაბამისად უნდა დაიგეგმოს ამის შემდეგ.
გაიზარდოს აკადემიური პერსონალის კვლევების პუბლიკაცია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. დაწესდეს მეტი სტიმულირება ჯილდოების, დაწინაურების ფორმით.

განხილულ იქნეს ინდუსტრიულ პარტნიორთა ჩართვა პროგრამის განხორციელებაში სპეციფიკური ლექციების ან სემინარების ჩასატარებლად მათი პრაქტიკის/ცოდნის სფეროებში.

მოწვეულ იქნენ ინდუსტრიის პროფესიონალები პრეზენტაციების ჩასატარებლად მენეჯმენტის სხვადასხვა სფეროს პრაქტიკულ ასპექტებზე.

გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაცია, გაიზარდოს სხვა ქვეყნებიდან მოწვეული პერსონალის მონაწილეობა.

გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებისა და შედეგების საჯაროობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

უნივერსიტეტი აქტიურია სამეცნიერო კონფერენციებისა და სტუდენტური კონფერენციების ორგანიზებაში, რითაც აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობასა და სტიმულს გაეცნონ მათი დარგის უახლეს აკადემიურ კვლევებს.

მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრის შექმნა წვლილს შეიტანს სტუდენტებში სამეწარმეო კულტურისა და სულისკვეთების ზრდაში.

სრულყოფილი სამოქმედო გეგმა, რომელიც მომზადდა ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტის მიერ (ანალოგიური გეგმები მომზადდა სხვა ფაკულტეტებზეც), გაუმჯობესების სპეციფიკური ფარგლებითა და ვადებით, რომელსაც მონიტორინგს უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
განსახილველი პროგრამა არის მართვის ფაკულტეტის ბაკალავრის საფეხურის პროგრამა. მისი მიზნები, უნივერსიტეტის მისიის (პროფესიონალიზმზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის განათლება და კვლევები, სადაც აქცენტი გაკეთდება ინოვაციებზე, ინტერნაციონალიზაციაზე და ზრდასრულთა განათლების პროგრამაზე) თანახმად, არის მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა ბიზნესის მართვაში და კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ დასაქმდნენ სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში (წარმოებისა და ბიზნესის სტრუქტურები), სადაც ისინი პრაქტიკულად განახარცილებენ ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფთან თანამშრომლობით. მტკიცებულებები, როგორიცაა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წლიური გამოკითხვა, ასევე ქვეყანაში დასაქმების სხვა სტატისტიკა, გვაჩვენებს, რომ შრომის ბაზარზე არსებობს მოთხოვნა ბიზნესისა და მართვის სფეროს კურსდამთავრებულებზე. ექსპერტთა ჯგუფის დისკუსიებმა დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან დაადასტურა ეს. გამოკითხული კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან ბიზნეს-სექტორში სხვადასხვა ფუნქციებით. ბენჩმარკინგის კვლევამ, რომელიც პროგრამის ადმინისტრაციის გუნდმა ჩაატარა სტუდენტების დახმარებით, აჩვენა, რომ პროგრამას ბევრი საერთო კურსი აქვს იმ მსგავს პროგრამებთან, რაც სხვა, კარგად ცნობილ ევროპულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებში ისწავლება. (ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი, ლონდონის ბიზნესის სკოლა, ნორვეგიის ბიზნესის სკოლა, ჰონ-კონგის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტი და ა.შ.). თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების (მაგ; მონაცემთა ანალიტიკა, გადაწყვეტილების ანალიზი, მართვის/სტრატეგიული საინფორმაციო სისტემები, და ა.შ.) და ოპერაციულ (მაგ; ოპერაციული მენეჯმენტი, საწარმოო ჯაჭვის ანალიზი, ოპერაციების მართვა მომსახურებაზე და ა.შ.) სფეროებზე. პროგრამის ძლიერი კონკურენტუნარიანი მახასიათებელია ის, რომ იგი შემოთავაზებულია ხარისხიან განათლებაზე ფოკუსირებული აღიარებული უნივერსიტეტის მიერ, ხელს უწყობს სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც სტუდენტი თავს შინაურად გრძნობს, მხარდაჭერილია გამოცდილი და კომპეტენტური პედაგოგებითა და ძლიერი ხელმძღვანელობით. სწავლების მთელი პროცესი ემყარება ინგლისურ ენას და სწავლების მეთოდებს, რომელიც აუმჯობესებს ინგლისურად კომუნიკაციის უნარებს, კრიტიკულ აზროვნებას და ჯგუფურ მუშაობას. უცხოელ სტუდენტთათვის, შედარებით დაბალი სწავლის გადასახადი და ცხოვრების ხარჯები, საქართველოში ცხოვრების კარგ პირობებთან ერთად, ხდის მას ძალიან კარგი "ხარისხისას ფულის თვალსაზრისით". უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პროგრამის საერთაშორისო მიზნობრივი ბაზარია პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, ასევე, დასავლეთის ქვეყნებიც. ამჟამად, უნივერსიტეტის რეკლამირება ხდება საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობით, სააგენტოებისა და სხვა სარეკლამო აქტივობების მეშვეობით. მიუხედავად ამისა, უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა ამ კონკრეტულ პროგრამაში დაბალია და აპლიკანტთა და ჩარიცხულთა საერთო რაოდენობა წლების განმავლობაში მცირდება.

პროგრამის სწავლის შედეგების ვრცელი სია (სულ 37), რომელიც ფოკუსირებულია პროგრამის მიზნების მხარდაჭერაზე, კლასიფიცირებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად და მოცემულია პროგრამის აღწერის დოკუმენტში. ზოგიერთი სწავლის შედეგი ზედმეტად ფართოდაა მოცემული მენეჯმენტის კონკრეტულ სფეროებთან ან საგნებთან მიმართებაში (მაგ; მარკეტინგი, ფინანსები, ბუღალტრული აღრიცხვა, ტურიზმის მენეჯმენტი) ცოდნის პრინციპების შესწავლის დროსაც კი (მაგ; რაოდენობრივი... პრინციპები, ზოგადი მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, არსი და მნიშვნელობა), იმის მაგივრად რომ აქცენტი გადატანილი იყოს ცოდნის ძირითად სფეროებზე მენეჯმენტის სფეროში. მართვის ბაკალავრის პროგრამის კუსდამთავრებულმა, ბოლოსდაბოლოს, მხოლოდ მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები არ უნდა იცოდეს. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს თანმიმდევრულად, აერთიანებდეს ნაწილებს ყოვლისმომცველ სწავლის შედეგებთან (მაგ; პრაქტიკული ბუნების მომზადების უნარი(?) და ა.შ), არ მიმართავდეს პირობით მიღწევას (მაგ; ....შესაბამისი სტაჟირების გავლის შემდეგ), თავს არიდებდეს გადაჭარბებულ წინადადებებს (მაგ; ეროვნული და გლობალური ეკონომიკისა და ბიზნეს-გარემოს ანალიზის მეთოდები, ქვეყნის სოციალურ-ეკონოიკური სიტუაციის ახსნა-განმარტება..) და უზრუნველყოფდეს, რომ მათი მიღწევა შესაძლებელია ყველა სტუდენტისთვის (მაგ; სამეცნიერო ნაშრომის, თეორიისა და ჰიპოთეზის ანალიზი- ბიზნესის კვლევა და საბაკალავრო ნაშრომი არჩევითია, სტრატეგიული მენეჯმენტი-კურიკულუმში არ არის შესაბამისი კურსი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o პროგრამის აღწერილობა o გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან o გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან o გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან; o უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბაზრის კვლევის შედეგები o გასაუბრებები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან o გასაუბრება დამსაქმებლის წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები: o უნდა გადაიხედოს მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები პროგრამისათვის. ეს დაეხმარება პროგრამის პოპულარიზაციას არა მარტო პოტენციურ სტუდენტებში, არამედ პოტენციურ პარტნიორ უსდ-ებშიც. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გარე კომუნიკაციების კუთხით, არამედ შიდა სარგებლობისათვისაც, რადგან იგი განსაზღვრავს პროგრამის სტრუქტურას, შინაარსს, სწავლების მიდგომებსა და თითოეული კურსის სწავლის შედეგებს. o პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გაძლიერდეს საინფორმაციო მართვის სფეროებში და სისტემებში, ასევე ოპერაციულ მართვაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o მას შემდეგ, რაც პროგრამის აპლიკანტთა და ჩარიცხულთა რაოდენობა მცირდება, ადმინისტრაციამ უნდა განიხილოს ფორმალური მარკეტინგული გეგმის შემუშავება

სტუდენტთა მოსაზიდად, როგორ ადგილობრივად, ისე საერთაშორისო მასშტაბით (სპეციფიკური სამიზნე ბაზრების განსაზღვრა, შზსუ-ში სწავლის ძლიერი მხარეების რეკლამირება, მიზნობრივი სარეკლამო საქმიანობა და სხვ.).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისო ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული მოდულისათვის შემუშავებულია დეტალური, კარგად შედგენილი საგნის აღმწერი (სილაბუსი). თითეული სილაბუსი მოიცავს: კურსის მიზნებს, დაგეგმილ სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, შინაარსის დეტალურ აღწერას კვირის ჭრილში, შესაბამის ლიტერატურას, ინდივიდუალურ მუშაობას, შეფასების მეთოდებს თითეული კომპონენტისათვის, ისევე, როგორც შეფასების ქულასთან სტუდენტის აკადემიური მოსწრების დაკავშირების მკაფიო კრიტერიუმებს, ასევე რეკომენდირებულ ლიტერატურას. პროგრამის მართვის გუნდი და პედაგოგები შექებას იმსახურებენ ასეთი დეტალური და კარგად ორგანიზებული სილაბუსების შემუშავებისათვის. შესაბამისი სწავლის შედეგები პირდაპირ და ნათლად არის მითითებული სილაბუსებში საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს 6 კრიტერიუმის შესაბამისად. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საგნის სწავლის შედეგები წარმოადგენდეს სასწავლო პროცესის შედეგს, რომელიც გაზომვადია საგნის დონეზე. ჭარბი ოდენობის სწავლის შედეგის შემოღება/განსაზღვრა (20 და მეტი უმეტეს საგნებში) ართულებს მათი შეფასების შემოწმებას. ბევრ შემთხვევაში ისინი უფრო მოკლე და მკვეთრი შესაძლოა იყოს ისე, რომ მათი მიღწევა უშუალოდ იყოს დაკავშირებული შეფასების მეთოდთან, რომელსაც იყენებენ თითოეულ საგანში. მაგალითისთვის, (შემთხვევითი არჩევის პრინციპით) წინადადება: ,,შემოთავაზებული კურსი იქნება წინააპირობა და საფუძველი სხვადასხვა დისციპლინის შესასწავლად....." არ აღწერს შედეგს, ,,ორგანიზაციის მუშაობის შეფასების უნარი მათი კრიტერიუმების მითითებით" არ არის ერთი საგნის შედეგი და რთულია, თუ შეუძლებელი არა, ერთი საგნის ფარგლებში მისი გაზომვა, როდესაც- ,,იდენტიფიცირების უნარის თუ როგორ

მოქმედებს/მუშაობს პროცესი და დიაგრამის აგება იმის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლება პროცესის გაუმჯობესება" მიღწევა გაზომვადია. მიუხედავად ამისა, სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბება ხანგრძლივი შესწავლის პროცესია და ამჟამინდელი მდგომარეობა ჯანსაღ საწყის წერტილს წარმოადგენს. ექსპერტთა გუნდი დააკმაყოფილა იმის ნახვამ, რომ პედაგოგებს ესმით მათი საგნების სწავლის შედეგების მისაღწევად სხვადასხვა სწავლების მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა - რამდენიმე საინტერესო შემთხვევა იყო წარმოდგენილი აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან დისკუსიისას. კრედიტების მოცულობა საგნებს შორის ვარირებს 4-დან 6 ECTS კრედიტამდე, მთლიანი კურსის დატვირთვიდან გამომდინარე, რომელთა განაწილება საკონტაქტო საათებად და დამოუკიდებელ მუშაობად რაციონალურია, საკმარისი საკონტაქტო საათებით (ლექცია, სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკა/ ლაბორატორიული სამუშაო) სტუდენტთა დასახმარებლად სწავლაში და სწავლის შედეგების მისაწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o პროგრამის აღწერის დოკუმენტი o კურსის სილაბუსები o გასაუბრება აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან o გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: o სწავლის შედეგების რაციონალიზაცია კურსების დონეზე იმგვარად, რომ მათი მიღწევა იყოს გაზომვადი და შემუშავებული "კომპეტენციების რუკის" შემდგომი შემუშავება, კურსებისა და პროგრამის დონის სწავლის შედეგებს შორის კავშირის საილუსტრაციოდ, მოგვცემს ამ უკანასკნელის მხარდაჭერის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს და საერთო ეტალონს პროგრამის მენეჯმენტისა და პედაგოგებისათვის. o აკადემიური პერსონალის ტრენინგი სწავლის შედეგების განსაზღვრისა და შეფასების სტრატეგიასთან მათი დაკავშირების მიზნით. კარგი გამოცდილება შესაძლოა გაზიარებულ იქნეს აკადემიურ პაროსნალში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o გაიზარდოს პროგრამაში სამეწარმეო განზომილება, ამისათვის გამოყენებულ იქნეს ახლადშექმნილი ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობა შიამოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბა

☐ არ არის შესაბამისობაში

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა მოიცავს: ძირითადი უნარების და უცხო ენის კურსები (25 კრედიტი), ბიზნესის ადმინისტრირება (BA) ძირითადი კურსები (75 კრედიტი), 65 კრედიტიანი მენეჯმენტის მოდული (42 სავალდებულო და 23 არჩევითი - შემოთავაზებული 54-დან), სტაჟირების/საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი (10 კრედიტი) და მაინორი ან თავისუფალი კრედიტების კომპონენტი (65 კრედიტი). ძირითადი უნარების კურსი მოიცავს აკადემიურ წერას, IT უნარებსა და უცხო ენებს. BA ძირითადი კურსები აცნობს სტუდენტებს ძირითადი ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის საგნებს, მაშინ როცა, მენეჯმენტის მოდული ფოკუსირებულია მონათესავე სფეროს სპეციალურ საგნებზე.

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს პროგრამის ადმინისტრაციის ყურადღებას სტუდენტთა საჭიროებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, ასევე მათ მუდმივ ძალისხმევას პროგრამის განვითარებისათვის. ბოლოდროინდელი მოქმედებები მოიცავს:

- სტაჟირების/საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტის შემოღება პრაქტიკული უნარების დამატებით განვითარების ან კვლევის ძირითადი უნარების განვითარების საჭიროების გასათვალისწინებლად. სტუდენტებს, რომლებიც ირჩევენ საბაკალავრო ნიშრომს, ევალებათ ბიზნესის კვლევის კურსის გავლა არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან. სტაჟირების ორგანიზება ხდება უნივერსიტეტისა და საწარმოო პარტნიორის თანამშრომლობით, რომელიც ჩართულია სტუდენტთა სამუშაოს მონიტორინგსა და შეფასებაში.
- სტუდენტთა მოთხოვნის საპასუხოდ, არჩევითი კურსების შეთავაზება ხდება სწავლის მეორე წლიდან, რაც აძლევს სტუდენტებს საკმაო მოქნილობას რათა მოარგონ სწავლა საკუთარ ინტერესებს, თუმცა შენარჩუნებულია აკადემიური სიმკაცრე და სწავლის შედეგების მიღწევის აუცილებლობა.
- მოწცეული პროფესორის ინიციატივით, ლოჯისტიკის საგანი შეტანილ იქნა არჩევითი საგნების ჩამონათვალში, რამაც სტუდენტების მოწონება გამოიწვია. ამას მოწმობს მათი არჩევანის უპირატესობა ამ საგანთან დაკავშირებით.
- მათ შორის, მეწარმეობის, როგორც სავალდებულო კურსის ჩართვა პროგრამის ძირითად ნაწილში.

როგორც წესი, ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის პროგრამის კომპონენტები, რომელიც მოიცავს ძირითადი ბიზნეს გარემოს ფუნქციებს და ადამიანური რესურსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსების, მარკეტინგის, ოპერაციების, კომუნიკაციის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითად სფეროებს.

კონკრეტული პროგრამა საკმარისად მოიცავს ადამიანური რესურსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსების, მარკეტინგისა და კომუნიკაციების სფეროებს. ოპერაციული

მენეჯმენტის პროგრამა არ არის საკმარისად წარმოდგენილი: ლოჯისტიკის საგანი შეთავაზებულია როგორც არჩევითი, ოპერაციულ მენეჯმენტის საფუძვლების წინასწარი შესწავლის გარეშე. პროგრამის ადმინისტრაციის გუნდის სიტყვებით, ასეთი კურსი იყო პროგრამაში, მაგრამ ამოღებულ იქნა და ეხლა ისწავლება ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ. როგორც ბენჩმარკინგის მონაცემები გვიჩვენებს, ოპერაციული მენეჯმენტის კურსი თითქმის ყველა პროგრამაშია შეტანილი. უფრო მეტიც, როგორ თვითშეფასების ანგარიშში და პროგრამის აღწერაშია მოცემული: ,,მართვის ბაკალავრის პროგრამაზე შეძენილი უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში, სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში (საწარმოო და ბიზნეს სტრუქტურებში).

საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა დღევანდელ ბიზნესში არ არის საკმარისად ასახული პროგრამაში. საინფორმაციო ტექნოლოგიების კურის, რომელიც პირველ სემესტრში ისწავლება, მხოლოდ საოფისე აპლიკაციების ფლობის ძირითად უნარებს თავაზობს სტუდენტს. ზოგიერთი სხვა საგანი, როგორებიცაა სტატისტიკა, ფინანსური მენეჯმენტი, ლოჯისტიკა და ა.შ, მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების რიგ ასპექტებს, მაგრამ თვითონ მიდგომა ფრაგმენტულია და სასურველია მისი გაუმჯობესება, ვინაიდან ინფორმაცია სტრატეგიულ როლს თამაშობს დღევანდელ ბიზნესში ან ბიზნეს საინფორმაციო სისტემების, ან ინფორმაციის მანიპულაციისა და ანალიზის მეთოდოლოგიების სახით (Analytics, Big Data, და ა.შ.) ~.

მეორე მხრივ, ,,ტურიზმის შესავალი" აუცილებბელი საგანია. სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან ამ საგნით, შეუძლიათ გაიარონ იგი, როგორც თავისუფალი არჩევანი ან არჩეული მაინორის ფარგლებში. მართვის სფეროსთვის სხვა მნიშვნელოვანი კურსები, როგორებიცაა კორპორატიული კომუნიკაციები და ხარისხის მართვა, რომლებიც სწორედ ბიზნესის მთავარ ფუნქციებს პასუხობენ, არჩევითის მაგივრად, სასურველია, სავალდებულო გახდეს.

ზემოთხსენებული შეზღუდვების ფონზე, პროგრამა კარგ თეორიულ ცოდნას იძლევა ბიზნესის გარემოსა და მენეჯმენტის ფუნქციებზე, ხოლო შემთხვევის შესწავლის ანალიზის მეშვეობით, პრაქტიკულებითა და პროექტზე მუშაობით სტუდენტებს უვითარდებათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები. სწავლების მეთოდები ხელს უწყობენ კრიტიკულ აზროვნებასა და საკომუნიკაციო უნარების გაუმჯობესებას. თვითსწავლების მოთხოვნები საკმარისია იმისათვის, რომ სტუდენტები გახდნენ პასუხისმგებელნი საკუთარი სასწავლო პროცესის მართვაზე.

საბოლოოდ, პროგრამისა და საგნენის სწავლის შედეგები სწორ დონეზეა პირველი ციკლის პროგრამისთვის, თუმცა ძალიან ბევრი კურსის სახელდება, როგორც ,,....-ის შესავალი" ან ,,...-ის პრინციპები", განსაკუთრებით, უმცროს და უფროს კურსებზე, არ ასახავს კურსის რეალურ დონეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა
- კურსის სილაბუსები
- გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან
- გასაუბრებები სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- ოპერაციული მენეჯმენტის სფერო გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის სტრუქტურაში, რადგან ეს ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის ძირითადი ფუნქციური სფეროა. პროგრამებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა სამიზნე ნიშნულებისთვის, შეუძლიათ კარგი პრაქტიკის მაგალითები უზრუნველყონ.
- პროგრამას განვითარება ჭირდება ინფორმაციის სტრატეგიულ გამოყენებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემაში დღევანდელი ბიზნესის პირობებში, ან ამ სფეროში სპეციალური კურსების შემოღებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ან უნდა გახდნენ შესაბამისი მენეჯმენტის კურსის კონკრეტული და მნიშვნელოვანი ნაწილები.
- განიხილეთ მენეჯმენტის მოდულის ზოგიერთი არჩევითი კურსის გადატანა ძირითადში, რადგან ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებულნი პროგრამის სწავლის შედეგებთან (მაგ. ,,კორპორატიული კომუნიკაცია," ხარისხის მართვა" "), ერთ-ერთი საგნის "ტურიზმის შესავლის" ამოღებით ძირითადიდან და არჩევით საგნებში გადატანით..

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მოხდეს სტაჟირებისა და საბაკალავრო ნაშრომის ინტეგრირება. სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას და მათი საბაკალავრო ნაშრომი ეხება პრობლემას ან სიტუაციურ ანალიზს, რომელსაც წააწყდნენ სტაჟირების პერიოდში, აკავშირებენ რა მათ შესაბამის თეორიულ ცოდნასთან.
- შეეცვალოს კურსებს სახელწოდება მათი მოცულობიდან და სიღრმიდან გამომდინარე, სახელწოდებაში "შესავალი"-ს და "პრინციპები"-ს გვერდის ავლით, რადგან ისინი აღნიშნავენ უფრო დაბალ დონეს ან მოკლევადიან კურსებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობ

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო ძლიერი მტკიცებულება შრომის ბაზარზე მართვის პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის თაობაზე. კერძოდ:

- კურსდამთავრებულთა შორის უნივერსიტეტის წლიურმა კვლევამ აჩვენა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი პროცენტულობა ბოლო 4 წლის განმავლობაში (ვარირებს 65%-დან 100%-მდე). მათი უმრავლესობა (77%-დან 74%-მდე) დასაქმებულია მათ დარგთან/სფეროსთან დაკავშირებულ სამუშაოზე.
- კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ყველა მათგანი დასაქმებულია სამუშაოზე, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესის და მართვის ფუნქციებთან.
- რამდენიმე მე-4 კურსელმა სტუდენტმა უკვე მიიღო სამსახურის შემოთავაზება მათი კვალიფიკაციის შესაბამის დაწყებით პოზიციებზე. ზოგიერთი მათგანი მოვიდა დამსაქმებლისაგან, რომელიც კმაყოფილი იყო სტუდენტთა საქმიანობით მათი სტაჟირების პერიოდში.

პროგრამის შინაარსის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს შორის ბალანსი, მტკიცე საკომუნიკაციო უნარები ინგლისურ ენაში, პროგრამის საერთაშორისო ხასიათი ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებში როგორც აკადემიური, ისე პიროვნული უნარების განვითარებას, ხდის მათ ძალიან კონკურენტუნარიანებად შრომის ბაზარზე.

აქცენტი კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიტიკურ მუშაობაზე, რაც ხაზგასმულია პროგრამის ბევრ მოდულში, აძლიერებს სწავლის უნარებს, რომლებიც საჭიროა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე ბიზნესის კვლევის მოდულის დამატება და საბაკალავრო ნაშრომის მომზადების არჩევანი, არის პოზიტიური ქმედება ამ მიმართულებით. როგორც პროგრამის ადმინისტრირების გუნდი აღნიშნავს, პროგრამის რამოდენიმე კურსდამთავრებულმა უკვე გააგრძელა სწავლა შზსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე, მაშინ როცა, გამოკითხულმა კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს მათი კოლეგების შემთხვევები, რომლებმაც წარმატებით გააგრძელეს სწავლა სამაგისტრო პროგრამებზე საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში და საზღვარგარეთ,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ბაზრის კვლევა
- გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისო ☐ ნაწილობრივ შესაბა ☐ არ არის შესაბამისობაში

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაინტერესებულ მხარეებს წვლილი შეაქვთ პროგრამის შემუშავებაში მრავალი გზით და განსხვავებული ხარისხით. პროგრამის გაუმჯობესების რამოდენიმე მაგალითი (აღწერილია 1.3. სექციაში) მოჰყვა სტუდენტთა უკუკავშირის ანალიზის შედეგებს, აკადემიური პერსონალის ინიციატივებსა და დამსაქმებელთა რჩევებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, მიმოიხილა სპეციალური პროგრამის განვითარების შეფასებები, რომელიც აანალიზებს კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სტუდენტთა კვლევებს, ჩატარებულს 2016-2017 წლებში. თუმცა, მონაწილეობა იყო შეზღუდული 2 კურსდამთავრებულითა და 1 დამსაქმებლით, მაშინ როცა სტუდენტები შერჩეულ იქნენ მათი მოსწრების მიხედვით (GPA 85-ზე მეტი), რითაც კვლევის მიუკერძოებლობა დაისვა კითხვის ნიშნის ქვეშ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის შეხვედრების ციკლი კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და პროგრამის კოორდინატორებთან ჩატარდა 2016 წელს. შეხვედრებზე სხვადასხვა ჯგუფებმა წარმოადგინეს საკუთარი იდეები და წინადადებები, რომლებიც ნათლად არაა ასახული ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილ შეხვედრების ოქმებში. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს უნივერსიტეტისა და პროგრამის ადმინისტრაციების ძალისხმევას და გახსნილობას ყველა დაინტერესებული მხარისაგან გამოხმაურების მიღების თაობაზე და დისკუსიაში პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, მოხდა გარკვეული პრობლემების იდენტიფიცირება: - თითოეულ სფეროში აკადემიურ პერსონალს შორის ბევრი ურთიერთქმედებაა, მაგრამ ნაკლებია ჩართულობა პროგრამის მთლიან მიმოხილვაში. - მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის რეგულაციები ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა ოფისის დაარსებას, რომლის ძირითადი მიზანია "უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა, მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში, მათთან საგანმანათლებლო პროგრამების შეთანხმება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით", გამოკითხულმა კურსდამთავრებულებმა განაცხადეს, რომ მათ

უნივერსიტეტიდან არავინ შეხმიანებიათ, ან ეს მოხდა რამდენჯერმე მათი დამსაქმებლების მეშვეობით. - გამოკითხული კურსდამთავრებულები ჩართულნი იყვნენ უფრო მეტად სტაჟირებასა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებაში, ვიდრე პროგრამის შემუშავებაში. - დამსაქმებელთა პასუხები პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ კითხვარში, ასევე მათი დასწრება ადგილზე ვიზიტის დროს გამართულ გასაუბრებაში, ნათელყოფს, რომ მათი ინტერესი პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით დაბალია და უნდა გაძლიერდეს. - უნივერსიტეტის წესდება უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას (როგორც უნდა იყოს კიდეც) ფაკულტეტების საბჭოებში, მაგრამ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა რაიმე ფორმით მონაწილეობა არ არის სახეზე. პროგრამის შემუშავების უნდა მიუდგეთ ინტეგრირებული გზით, ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობითა და ურთიერთქმედებით. პროგრამა უნდა იყენებდეს გარკვეული კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ინტერესს და მზადყოფნას წვლილი შეიტანონ პროგრამის შემუშავებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის შემუშავების შეხვედრების ოქმები o პროგრამის შემუშავება-შეფასებები o პროგრამის შმუშავების ანგარიშები o პროგრამის შეფასების ფორმები o გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან o გასაუბრება სტუდენტებთან o გასაუბრება კურსდამთავრებულებთან o გასაუბრება დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: o გაზარდეთ ურთიერთობა ყველა კურსდამთავრებულთან, ხელი შეუწყეთ მათ მონაწილეობას პროგრამის/ფაკულტეტის აკადემიურ და სოციალურ აქტივობებში და შეარჩიეთ მენეჯმენტში წარმატებული პირები, რომელთა ჩართვაც შესაძლებელი იქნება პროგრამის შემუშავებაში. o შეარჩიეთ ბიზნესის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის პროფილს და ჩართეთ ისინი პროგრამის შემუშავებაში. o დააწესეთ ყველა დაინტერესებულ მხარეთა ფორმალური შეხვედრები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o განიხილეთ პროგრამის ან ფაკულტეტის დონეზე ინდუსტრიულ მრჩეველთა საბჭოს დაარსება, რომელიც ფორმალურად მიიღებს მონაწილეობას პროგრამის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებაში. o დაამყარეთ კავშირები და თანამშრომლობა დარგის პროფესიულ ასოციაციებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			☒	

2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირების მიღებას. პროგრამის წინაპირობებია: სტუდენტები დაიშვებიან მართვის ბაკალავრის პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ბოლო 4 წლის ჩარიცხვების დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს ჰქონდათ მაღალი შეფასებები ეროვნულ გამოცდებში. რამდენიმე გამოკითხულმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ

საშუალო სკოლა დაამთავრეს "ოქროს" ან "ვერცხლის" მედალზე და შზსუ-ს მიერ საუკეთესო სტუდენტთათვის შეთავაზებულმა სტიპენდიებმა მისცა მათ კარგი სტიმული. ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე წარმოადგენს დამატებით კრიტერიუმს სტუდენტთა ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩასარიცხად. ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტმა აწია B1 ტესტის მინიმალური ქულა 25- დან 30-მდე. გარდა ამისა, მოსწავლეები გადიან ტესტირებას ინგლისური ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებით და გაივლიან ინგლისური ენის 3 კურსს (დამოკიდებულია ტესტირების შედეგებზე). კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, პირი შესაძლებელია ჩაირიცხოს ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. ვიზიტის განმავლობაში დავრწმუნდით, რომ ჩარიცხვის კრიტერიუმები გამჭვირვალეა და აპლიკანტების მიერ კარგადაა გაგებული. ჩარიცხვის პროცედურის დეტალური აღწერა საჯაროა და გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის აღწერილობა o გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან o გასაუბრება სტუდენტებთან o სშზუ-ის ვებ-საიტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o შემოიღეთ დამატებითი აკადემიური მოთხოვნები უცხოელი სტუდენტის მიღებაზე (მაგ. ინტერვიუ, მიზნის განაცხადი/სამოტივაციო წერილი, სამეცნიერო მუშაობა და ა.შ.).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისო ☐ ნაწილობრივ შესაბა ☐ არ არის შესაბამისობაში

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის ორგანიზება მოიცავს სხვადასხვა სწავლების მეთოდების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეძენას, აუცილებელს BBA ხარისხის მოსაპოვებლად მართვაში, ზოგადად პროგრამისა და თითოეული კურსის სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებით. თითოეული ცალკეულ კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები აღწერილია დეტალურად სილაბუსებში და კარგადაა შერჩეული კურსის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. აკადემიურ და აფილირებულ პერსონალთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა შეენიშნა, რომ პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა სწავლების მეთოდებს სილაბუსის შესაბამისად და მუდმივად ცდილობენ მათი სწავლების გაუმჯობესებას. ისინი ხელს უწყობენ სტუდენტთა აქტიურ ჩართვას ჯგუფურ მუშაობაში, სემინარებში, პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობაში, დისკუსია/დებატებში, ინდივიდუალურ და ჯგუფურ პრეზენტაციებში და სხვ. სტუდენტები ძალიან კმაყოფილები არიან სწავლებისადმი პედაგოგების მიდგომით და აღნიშნავდნენ მოწვეული პროფესორების ღვაწლს, რომელთაც შემოაქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება საკლასო ოთახებში. სტუდენტებს, რომლებმაც აირჩიეს სტაჟირება (საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს მეორე არჩევანს) შეუძლიათ დაასახელონ კონკრეტული კომპანია საკუთარი სტაჟირებისათვის, რისთვისაც საჭიროა კომპანიის ოფიციალური თანხმობა. სხვა შემთხვევაში, კარიერული განვითარების ოფისი ეხმარება სტუდენტებს სტაჟირების ადგილის მოძებნაში ერთ-ერთ იმ კომპანიაში, რომელთაც გაფორმებული აქვთ სტაჟირებაზე ხელშეკრულება ფაკულტეტთან. სტაჟირების შეფასება ხდება პრაქტიკის მენტორის მიერ შეფასების კომპონენტით (70%) და ასევე, პრეზენტაცია/პრაქტიკის ანგარიშის დაცვით, რომელსაც აფასებს აკადემიური კომისია (30%). საერთო ჯამში, პროგრამის კომპონენტების სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის აღწერილობა o პროგრამის სილაბუსები o გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან o გასაუბრება სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o იფიქრეთ ინფორმაციულ ბარნერის ჩართვაზე პროგრამის განხორციელებაში სპეციფიკური ლექციებისან სემინარების ჩასატარებლად მათ პრაქტიკის/ცოდნის სფეროებში.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამის ☐ ნაწილობრივ შესაბა ☐ არ არის შესაბამისო

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და საერთო ჯამში შეადგენს 240 კრედიტს, რომელთაგანაც 180 კრედიტი სავალდებულო კურსებია და 60 კრედიტი - არჩევითი. საგნების თანამიმდევრობა უზრუნველყოფს სტუდენტის თანდათანობით პროგრესიას ძირითადი უნარებიდან ზოგადი ბიზნესის ადმინისტრირების საკითხებამდე და ბოლოს მართვის სფეროს სპეციალიზებულ საკითხებამდე პირველი წელი მოიცავს ძირითად უნარებსა და უცხო ენის კურსებს და ძირითად კურსებს მათემატიკაში, ეკონომიკაში, ბიზნესის ადმინისტრირებასა და მენეჯმენტში. მეორე წლის განმავლობაში, სტუდენტები აგრძელებენ ზოგადი საგნების სწავლას, დაკავშირებულთ ბიზნესის ადმინისტრირების ზოგად ფუნქციებთან (მაგ. საბუღალტრო აღრიცხვა, ფინანსები, მარკეტინგი და სხვ.), ისევე, როგორც სტატისტიკას და ბიზნეს-ინგლისურს, ხოლო მათ ასევე შეუძლიათ აიღონ საგნები მაინორიდან, თუ გადაწყვეტენ, ან თავისუფალი არჩევანი. ბოლო ორ სემესტრში სტუდენტები იღებენ 75 კრედიტიან ფინანსების მოდულის საგნებს (მათ შორის სტაჟირებას ან საბაკალავრო ნაშრომს) და 45 არჩევით კრედიტს, რაც შეიძლება იყოს დამატებითი საგნები ფინანსებში, სხვა მაინორში ან თავისუფალი კრედიტები. კურსების წინაპირობების მატრიცა მოცემულია პროგრამის აღწერის დოკუმენტში, ისევე როგორც, თითოეული კურსის სილაბუსში და სტუდენტები იცნობენ მას. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ არ დასახელებულა პრობლემად წინაპირობების ზედმეტობა ან სიმცირე. ექსპერტთა ჯგუფს აქვს შენიშვნა ზოგიერთ კურსებზე წინაპირობების არარსებობის თაობაზე. კერძოდ: არ არის წინაპირობები მაკროეკონომიკაზე, მე-2 სემესტრის კურსზე, რომლის შესწავლაც რთულია მიკროეკონომიკის ცოდნის გარეშე. ამგვარადვე, ,,ალბათობისა და სტატისტიკის შესავალი'' კურსის წარმატებული დასრულებისთვის, საჭიროა მინიმუმ მათემატიკის და B2B მარკეტინგის ცოდნა, რომელიც მე-6 სემესტრზე ისწავლება და არ აქვს ,,მარკეტინგის პრინციპები", როგორც წინაპირობა. ვიზიტისას გამოკითხულმა სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება საგნების თანამიმდევრობის გამო და არ აღუნიშნავთ რაიმე მნიშვნელოვანი დუბლირება ან გადაფარვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან
- კურსის სილაბუსები
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- კურსის მიზნის, შინაარსისა და სწავლის შედეგების საფუძველზე, ყველა საგნის წინაპირობები ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული დაწესებულების მიერ. მაკროეკონომიკის საგანს მეორე სემესტრში არ აქვს წინაპირობები, რომლის შესწავლაც რთულია მიკროეკონომიკის გარეშე. ამგვარადვე, ,,ალბათობისა და სტატისტიკის შესავლის " კურსს მინიმუმ მათემატიკის ცოდნა ჭირდება. I. BB2B მარკეტინგს მეექვსე სემესტრში არ აქვს ,,მარკეტინგის პრინციპები", როგორც წინაპირობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებ

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბ

☐ არარის შესაბამისობაში

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასება ეფუძნება მის მუშაობას მთელი კურსის განმავლობაში და შედგება ორი ნაწილისაგან, შუალედური და საბოლოო შეფასებისაგან. თითოეული ნაწილი მოიცავს შეფასების განსხვავებულ ელემენტს სწავლის შედეგების მიხედვით, როგორებიცაა: წერილობითი დავალებები, ტესტები, ქეისის შესწავლა, ჯგუფური მუშაობა, პროექტები, წერილობითი და ზეპირი გამოცდები და სხვ. შეფასების კრიტერიუმი თითოეული ნაწილისათვის მოცემულია თითოეული კურსის სილაბუსში.

პროგრამა ითვალისწინებს მკაცრ აკადემიურ მიდგომას სტუდენტთა შეფასებაში:

მხოლოდ მათ, ვინც ზღვარი ვერ გადალახა (41-50 ქულა) ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის შანსი დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ. დანარჩენებმა უნდა გაიარონ კურსი ხელახლა. სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ მინიმალურ გადასალახ ქულას შეფასების როგორც შუალედურ, ისე საბოლოო ნაწილში იმისთვის რომ კურსი გავლილად ჩაითვალოს. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის შემდეგ, პროგრამამ წარმოადგინა შედარებითი სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა პროგრესის თაობაზე პროგრამის საფეხურების მიხედვით, რომელმაც აჩვენა ჩვეულებრივი გადასვლა ეტაპიდან ეტაპზე შედარებით მცირე რაოდენობის წარუმატებელი შემთხვევებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები o პროგრამის აღწერილობა o პროგრამის სილაბუსები o გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან o გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ [illegible] შესაბამისობაშია ☐ ნაწილობრივ შესაბ[illegible] ☐ არ არის შესაბამისო[illegible]

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა შეფასების მკაფიო პოლიტიკა, როგორც ეს მოცემულია მისი განათლების პროცესის რეგულაციებში *"უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტთა ცოდნის შეფასება, რისთვისაც შეიმუშავებს შესაბამის პროცედურებს"* ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია იმის ნახვით, რომ ეს პოლიტიკა სრულადაა მატერიალიზებული.

შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია პროგრამის აღწერის დოკუმენტში, მორგებულია თითოეულ კურსზე და განმარტებულია ამომწურავად და დეტალურად შესაბამის სილაბუსში. შეფასების თითოეული ელემენტისათვის, მიღწევის სხვადასხვა დონის შესაბამისი კრიტერიუმები ჩამოთვლილია მკაფიოდ. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ ეს იმდენად გამჭვირვალეა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ფაკულტეტსა და პერსონალზე. უნდა ითქვას, რომ მათ შეფასების სისტემა ძალიან გამჭვირვალი გზით წარმოადგინეს.

გასაუბრებების დროს დადგინდა, რომ ეს კრიტერიუმები გამჭვირვალეა სტუდენტებისათვის და მათთვის მიწოდებულია და ახსნილი თითოეული კურსის პირველივე სასწავლო კვირას.

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი პასუხისმგებელია წერითი გამოცდების ორგანიზებასა და ჩატარებაზე და ასევე, ორგანიზებას უკეთებს ზეპირი გამოცდების ტექნიკურ მხარეს. გამოცდების შედეგები ქვეყნდება ოფიციალური სტუდენტთა საინფორმაციო სისტემით (SIS) და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათის.

პედაგოგები უზრუნველყოფენ უკუკავშირს სტუდენტებთან თითოეული დავალების შემდეგ. სტუდენტები ამბობენ, რომ პედაგოგები ადვილად ხელმისაწვდომები არიან დისკუსიისა და კითხვებისათის, რომლებიც შესაძლოა გაუჩნდეთ მათ ქულებთან დაკავშირებით და უზრუნველყოფილნი არიან განმარტებებით. პედაგოგების თანახმად, სტუდენტები მეტწილად კმაყოფილები არიან პედაგოგებისაგან მიღებული უკუკავშირით და სტუდენტებიც იზიარებენ ამ ხედვას.

თუმცა, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის საჩივარი არ კმაყოფილდება კურსის პედაგოგის მიერ, მათ შეუძლიათ მიმართონ საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციებში აღწერილ ფორმალურ პროცედურას: "*განიხილეთ საგამოცდო ნამუშევარი ლექტორთან და მიიღეთ გამოხმაურება და გააპროტესტეთ გამოცდის შედეგები მას შემდეგ, რაც ისინი წარედგინება სტუდენტთა საინფორმაციო ცენტრს SIS* ". სტუდენტებმა კარგად იციან ამ კუთხით საკუთარი უფლებები, თუმცა ასეთი შემთხვევები სტუდენტებთან გასაუბრებისას არ დაფიქსირებულა.

პედაგოგიური პერსონალის ყველა წევრს აქვს პირადი საკონსულტაციო დადგენილი საათები. სტუდენტები ასევე მონაწილეობას იღებენ გამოკითხვებში, სადაც მათ შეუძლიათ საკუთარი შეხდულების დაფიქსირება შეფასების კრიტერიუმებსა და მეთოდებზე. ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგებს და პროგრამის ხელმძღვანელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები
- პროგრამის აღწერილობა
- პროგრამის სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისო ☐ ნაწილობრივ შესაბა ☐ არ არის შესაბამისობაში

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			

2. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი მუშაობს, როგორც სტუდენტთა მრჩეველი და ეხმარება სტუდენტებს სასწავლო კომპონენტების შერჩევაში, აწვდის სათანადო ინფორმაციას უნივერსიტეტთან დაკავშირებით და აგვარებს საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავაშირებულ პრობლემებს. სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი, ასევე, მოქმედებს როგორც მეკავშირე კარიერყლი განვითარების ოფისს, საერთაშორისო ოფისსა და სტუდენტებს შორის, აწვდის ყველა შესაბამის ინფორმაციას და ეხმარება მათ გაიარონ პროცესები. საერთო ჯამში, სასწავლო პროცესის

ადმინისტრატორი არის მთავარი პირი კონსულტაციის გასაწევად ადმინისტრაციულ საკითხებზე.

სტუდენტები თავისუფლად მიმართავენ სასწავლო პროცესის ადმინისტრატორს დახმარებისათვის და გასაუბრებების დროს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან პრეტენზიებს ადგილი არ ჰქონია. მათი აზრით, ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი მათთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი იყვნენ სწავლასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე დასახმარებლად. გარდა ამისა, მათ გამოხატეს თავიანთი კმაყოფილება შესაბამისი ინფორმაციის არსებობისა და ხელმისაწვდომობის გამო.

უცხოელმა სტუდენტებმა გამოთქვეს მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მათაც მიიღონ დამსახურებაზე დაფუძნებული ფინანსური დახმარება, რასაც იღებენ ქართველი სტუდენტები. იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული დახმარება გაიცემა არა სახელმწიფოს, არამედ უნივერსიტეტის მიერ - მათი მოთხოვნა უნივერსიტეტის მიერ განხილულ უნდა იქნეს, როგორც სამართლიანი აკადემიური საქციელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდნაგანაწესი
- გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შზსუ-მ უნდა გაითვალისწინოს დამსახურებაზე დაფუძნებული ფინანსური ჯილდოების გაცემა უცხოელ სტუდენტებზეც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისო

☐ ნაწილობრივ შესაბა

☐ არ არის შესაბამისობაში

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, მათი შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით, გულისხმობს დროის გამოყოფას სტუდენტებთან ინდივიდუალურად სამუშაოდ. ყველა საგანმანათლებლო საკითხებთან საკავშირებულ შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ თავისუფლად მიმართონ ფაკულტეტის წევრს დახმარებისათვის. კონსულტაციების თარიღი და დრო ასევე მითითებულია კონკრეტული კურსის სილაბუსში (2 საათი კვირაში) და სახეზეა ელექტრონულ სისტემაშიც. სტუდენტების მიერ საკონსულტაციო საათებით სარგებლობა სხვადასხვაფვარია საგნის გათვალისწინებით. გამოკითხული სტუდენტების სიტყვებით, პროფესორები ადვილად ხელმისაწვდომები არიან და მათთან იოლად შეიძლება კომუნიკაცია აკადემიურ საკითხებზე დახმარებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის სილაბუსები o გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან o გასაუბრება სტუდენტებთან o გასაუბრება კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისო ☐ ნაწილობრივ შესაბა ☐ არ არის შესაბამისო

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ადგილზე ვიზიტისას გამოკითხულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოავლინეს უკიდურესი კმაყოფილება და მოტივაცია კვლევით პროექტებში მონაწილეობასა და ექსტრაკურიკულურ აქტივობებთან. როგორ მოსალოდნელო იყო, კვლევით პროექტებში ჩართულობა ბაკალავრიატის სტუდენტების მხრიდან დაბალია; თუმცა, გარკვეული შემთხვევები აღინიშნა პერსონალის, სტუდენტების და პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ, ძირითადად მონაცემთა შეფროვებასა და მანიპულიაცაში. მცირე კვლევითი პროექტები კომპანიებისათვის და ბენჩმარკინგის სავარჯიშო არის სტუდენტთა კვლევებში ჩართულობის რამდენიმე მაგალითი. ბიზნესის კვლევისა და საბაკალავრო ნაშრომის შემოღება ალბათ შედეგად მოიტანს სტუდენტთა მეტად ჩართვას რაიმე სახის კვლევით აქტივობაში.

შზსუ ორგანიზებას უკეთებს სტუდენტთა კონფერენციებს (დღემდე 6 კონფერენცია), სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი ნაშრომი. სტუდენტები მონაწილეობენ ლექტორებთან ერთად ჟიურის წევრებად საუკეთესო ნაშრომის გამოსავლენად. დეტალები კონფერენციებისა და დაჯილდოებული სტუდენტების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე. 2018 წლის ივლისში,უნივერსიტეტი უმასპინძლებს ახალგაზრდა მკვლევართა მე-2 საერთაშორისო კონფერენციას. მოწვეული არიან კურსდამთავრებული და პოსტ-დოქტორანტურის სტუდენტები საქართველოდან და უცხოეთიდან მათი კვლევების ახალგაზრდა პროფესიონალთა აუდიტორიისთვის გაზიარების მიზნით.

პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის ძირითადი ელემენტია სტაჟირება სწავლის დაარულების შემდეგ, რომელსიც მოწმდება და ფასდება როგორც უნივერსიტეტის, ისე დამსაქმებლის მიერ. პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის შემოღების შემდეგ, სტაჟირენა შეთავაზებულია როგორც არჩევანი მასა და საბაკალავრო ნაშრომს შორის. სტუდენტები უპირატესობას ანიჭებენ სტაჟირებას, რომელიც აძლევს მათ რეალურ ცხოვრებისეულ ბიზნესის გარემოსთან შეჩვევის და საკუთარი ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა, რამდენიმე სტუდენმა მიიღო შეთავაზება ორგანიზაციაში, სადაც გაიარა სტაჟირება.

ვინაიდან, ორივე ელემენტი - სტაჟირება და საბაკალავრო ნაშრომი მნიშვნელოვანია ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ინტეგრირებისათვის, ადმინისტრაციამ შესაძლოა გადაწყვიტოს სტუდენტებისათვის ორივე მათგანის სავალდებულოდ დაწესება. საგნის სპეციფიკური პრაქტიკული უნარები ასევე ვითარდება ინდივიდუალური კურსების ფარგლებში პროექტების, ჯგუფური დავალებების, ვორქშოფების ფორმით. მოწვეული და გამოცდილი აკადემიური პერსონალის წვლილი სტუდენტების მიერ მაღალ შეფასებას იმსახურებს და მათი სურვილია ყავდეთ მეტი მოწვეული პერსონალი. .

თავისუფალ დროს სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ბევრ ექსტრაკურიკულურ აქტივობაში, რომელთაც სთავაზობენ უნივერსიტეტი და სტუდენტთა კლუბები. ეს მოიცავს მონაწილეობას კულტურულ ჯგუფებში, სპორტში, სოციალურ მუშაობაში და სტუდენტთა თვითმმართველობაში, რომელიც წარმოადგენს ყველა სტუდენტის ინტერესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
- გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან
- ექსპერტთა ჯგუფისათვის წარდგენილი კონფერენციის მიმდინარეობის ოქმები და სხვა მასალები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მოწვეულ იქნენ ინდუსტრიის პროფესიონალები პრეზენტაციების ჩასატარებლად მენეჯმენტის სხვადასხვა სფეროს პრაქტიკულ ასპექტებზე.
- წაახალისეთ სტუდენტთა ჩართულობა კვლევებში (მაგ. მოიძებნოს ინდუსტრიული სპონსორი, რომელიც დააწესებს ჯილდოს კვლევითი სამუშაოსათვის ბიზნესის გარკვეულ სფეროში და სხვ.).
- მოხდეს სტაჟირებისა და საბაკალავრო ნაშრომის ინტეგრირება. სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას და მათი საბაკალავრო ნაშრომი ეხება პრობლემას ან სიტუაციურ ანალიზს, რომელსაც წააწყდნენ სტაჟირების პერიოდში, მისი დაკავშირებით შესაბამის თეორიულ ცოდნასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტი აქტიურია სამეცნიერო კონფერენციებისა და სტუდენტური კონფერენციების ორგანიზებაში, რითაც აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობასა და სტიმულს გაეცნონ მათი დარგის უახლეს აკადემიურ კვლევებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისო

☐ ნაწილობრივ შესაბა

☐ არ არის შესაბამისო

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საკუთარი მისიის განაცხადის თანახმად, შზსუ *ხაზს უსვამს ინოვაციას, ინტერნაციონალიზაციას და უწყვეტ განათლებას.* ფართო ხედვით, საერთაშორისო ასპექტი უფრო აუცილებელია იმ კონკრეტული პროგრამისთვის, რომელიც სრულად შემოთავაზებულია ინგლისურ ენაზე. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ გამოყენებული სასწავლო მასალა ინგლისურია, იგივეა ან მსგავსი იმასთან, რაც გამოიყენება უნივერსიტეტებში საერთაშორისო მასშტაბით და რომ ინგლისურად კომუნიკაციის უნარები აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში საუკეთესოა. ამრიგად, არსებობს დიდი პოტენციალი კონკრეტული პროგრამის მზარდი ინტერნაციონალიზაციისათვის სტუდენტთა და

პერსონალის გაცვლის, უცხოელი პერსონალის მოწვევის, ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების, კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით.

ინტერნაციონალიზაციის გადამწყვეტი ნაწილია სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც სტუდენტს აქვს ურთიერთობისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა მსოფლიოს სხვა კუთხეების სტუდენტებთან და პედაგოგებთან. ჯერჯერობით, ინტერნაციონალიზაციის ეს ასპექტები საკმარისად არ არის გამოყენებული. პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩაირიცხა 25 უცხოელი სტუდენტი და მოწვეულ იქნა 7 უცხოელი ლექტორი, ბიზნეს ადმინისტრაციის ნებისმიერ პროგრამაზე მეტი. პერსონალის გაგზავნის და სტუდენტური გაცვლების რიცხვიც დაბალია, ვიდრე ეს საერთაშორისო პროგრამისგან არის მოსალოდნელი. არსებული მონაცემები გვიჩვენებს 4 აკადემიური პერსონალის გაცვლას 2016-2017 წლებში, მაშინ როცა გასული სტუდენტების რაოდენობა მთელი ფაკულტეტის მასშტაბით (5 პროგრამა) ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 30-ია წელიწადში.

იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტს აქვს 50-ზე მეტი ხელშეკრულება საერთაშორისო გაცვლებზე და ერთობლივ ღონისძიებებზე (მაგ. საზაფხულო სკოლა), ინტერნაციონალიზაციის განხორციელება ჯერ კიდევ მის პოტენციალზე დაბლა დგას. ამგვარად, ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია მხოლოდ რჩევა , რომ პროგრამამ გააძლიეროს ძალისხმევა მისი საერთაშორისო ასპექტების განსამტკიცებლად და შექმნას მეტი შესაძლებლობები სტუდენტებისა და პერსონალისათვის, რადგან ინტერნაციონალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი კონკურენტუნარიანობისა და საერთო აკადემიური ხარისხისათვის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან გაუმჯობესების უმთავრეს პრიორიტეტად დასახელდა ინტერნაციონალიზაციის გაზრდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციასთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან
- ინტერნაციონალიზაციის ანგარიში
- საერთაშორისო სამსახურის მიერ მოწოდებული გაცვლების მონაცემები

რეკომენდაციები:

- გადახედეთ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულებებს და შეარჩიეთ აქტიური პარტნიორები. გაზარდეთ პროგრამის ხელშეწყობა პარტნიორების შორის.
- დასახეთ სტუდენტთა გაცვლის პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის, რომლებიც სასწავლო ვიზიტებზე არიან სხვა უნივერსიტეტებში. აკადემიური პერსონალი უშუალოდ უნდა იყოს ჩართული მობილობის ხელშეწყობაში.
- მოიწვიეთ უფრო მეტი უცხოელი პედაგოგი პროგრამის განსახორციელებლად..
- შეიმუშავეთ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის უკეთესი მარკეტინგული სტრატეგია:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შემუშავდეს პროგრამის უფრო ეფექტური მარკეტინგის სტრატეგია

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბა ☐ არ არის შესაბამისობაში

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს შესაფერისი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა სწავლებისა და სწავლის აქტივობებისათვის. კერძოდ, კომფორტული შენობა, სამუშაო ოთახები აკადემიური პერსონალისათვის, სასწავლო ოთახები შესაბამისი აღჭურვილობით, საკონფერენციო დარბაზები სათანადო ინვენტარით. შენობები სასიამოვნოა კარგად მოვლილი ღია სივრცეებით პერსონალისა და სტუდენტებისათვის, სასადილოებით სტუდენტებისა და პერსონალისათვის, სპორტული მოედნებითა და დარბაზით. სწავლებისა და სწავლის პროცესს მხარს უჭერს ორი მთავარი საინფორმაციო სისტემა. “Smart Learning” – Moodle სწავლის დამხმარე პლატფორმა - მოიცავს ლექტორების მიერ მომზადებულ სლაიდებსა და შესაბამის მასალებს, რომელიც განახლდება ყოველკვირეულად. პროცესს

მონიტორინგს უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. "სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა" მოიცავს მონაცემებს სტუდენტთა შეფასებებსა და პროგრესზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი ნაბეჭდი და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლიტერატურით. შზსუ წარმოადგენს რიგი სამეცნიერო ელექტრონული ბიბლიოთეკების რეგისტრირებულ წევრს, როგორებიცაა JSTOR, DOAJ, POLPRED, WDL და სხვ. მართალია, საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა ძირითადად ხდება ელექტრონულად, მისი წიგნთსაცავი და სამკითხველო დარბაზი საკმაოდ ფართოა. ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებულ სტუდენტებს აქვთ მასალების ხელმისაწვდომობა კამპუსის გარედანაც. ბიბლიოთეკის მარაგი მუდმივად განახლებადია და პედაგოგები კმაყოფილნი არიან ახალ წიგნების შეკვეთებზე მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებით. ახლად დაარსებული მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრი სავარაუდოდ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სტუდენტებში მეწარმეობისადმი ინტერესის გაღვივებაში. სპეციალური საჭიროებების პირთათვის შენობაში თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, მაგრამ არა ყველგან. უნივერსიტეტი გეგმავს მეორე კამპუსის შემომატებას, სადაც თანამედროვე შენობა-ნაგებობები ამჟამად მშენებლობის სტადიაშია, თუმცა დასრულების ზუსტი თარიღი უცნობია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან o გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციასთან; o გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან o ვიზუალური კვლევა, შემოწმება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს თავისი შესაძლებლობები არსებულ კამპუსში და გახადოს იგი ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრის შექმნა თავის წვლილს შეიტანს სტუდენტებში მეწარმეობის კულტურისა და სულისკვეთების გაღრმავებაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბა

☐	ნაწილობრივ შესაბა
☐	არ არის შესაბამისობაში

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამის პედაგოგთა რაოდენობა შეადგენს 47-ს, რომელთაგან 15 ენების კურსების მასწავლებელია. ძირითადი გუნდი 32 აკადემიური პერსონალია, მათ შორის 17 აფილირებული პერსონალი, რომელთაგან 13 დოქტორია და 15 მოწვეული პერსონალი, ძირითადად პროფესიონალები და ასევე აკადემიური პერსონალი სხვა ინსტიტუციებიდან. აფილირებული აკადემიური პერსონალი გამოცდილია პედაგოგიკაში, მაშინ როცა ზოგიერთ მათგანს აქვს მნიშვნელოვანი საწარმოო გამოცდილებაც. მათი უმეტესობა აქტიურია კვლევაში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ მეცნიერული ნაშრომები, უმეტესწილად საერთაშორისო პუბლიკაციები (რეფერირებად ჟურნალებში და კონფერენციებზე) და ნაკლებად ეროვნულ გამოცემებში. გამოკითხული პერსონალი კმაყოფილი იყო შზსუ-ს შესაძლებლობებითა და დახმარებით მათ პროფესიულ განვითარებაში. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სახსრები კვლევების შედეგების პუბლიკაციებისათვის გამოყოფილია და ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფილია პერსონალის მონაწილეობა კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო აქტივობებში, ისევე როგორც სახელმძღვანელოების გამოცემა. ფაკულტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს კონფერენციების ხარჯების, კვლევითი აქტივობების და სამეცნიერო პუბლიკაციების დაფინანსებას. შზსუ გააგრძელებს თავის ძალისხმევას ამ მიმართულებით, უფრო ფოკუსირებული იქნება კვლევითი შედეგების ზრდაზე, განსაკუთრებით საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში. ფაკულტეტი მკაცრად იცავს მოწვეული აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცესს, რაც მოიცავს კანდიდატების მიერ საჩვენებელი ლექციის ჩატარებას და ხელმძღვანელების მიერ მონიტორინგს სწავლების პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში. უნივერსიტეტი მიესალმება ურთიერთშეთანხმებით მოწვეულ პროფესორებს უცხოური უნივერსიტეტებიდან, თუმცა ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს (იხილე სექცია 3.4). აკადემიური პროფილის პედაგოგების შერევა ინდუსტრიული გამოცდილების მქონე პროფესიონალებთან ქმნის მდიდარ სასწავლო გარემოს, სწორი ბალანსით თეორიასა და პრაქტიკას შორის. სტუდენტები ამ მიდგომის კომენტირებისას იყვნენ უაღრესად კმაყოფილნი, რომ ეძლეოდათ რეალურ ცხოვრებისეულ საქმეებზე მუშაობის შესაძლებლობა, რომლებიც მოჰქონდათ საკლასო ოთახში პროფესიული გამოცდილების მქონე მასწავლებლებს და მიესალმებიან მეტ პრაქტიკას. საერთო ჯამში, სტუდენტები ჩანდნენ კმაყოფილნი აკადემიური პერსონალისაგან მიღებული დახმარებით და ფაქტით, რომ ისინი ადვილად ხელმისაწვდომები და ყურადღებიანები არიან.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორების სწავლების ხარისხი მოწმდება სისტემატურად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სწავლების შეფასების კვლევებისა და კოლეგების მიმოხილვების მეშვეობით. მაკორეგირებელი აქტივობების მაგალითები (პროგრამის კოორდინატორის კონსულტაციები პედაგოგებთან, მასწავლებლების ჩანაცვლება და სხვ.) ექსპერტთა ჯგუფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და პროგრამის ადმინისტრაციის გუნდმა მიაწოდეს. გამოკითხული პედაგოგები (როგორც აფილირებული, ისე მოწვეული) ჩანდნენ ძალიან კომპეტენტურნი და ნამდვილად დაინტერესებულნი მათ საგნებში და ამჟღავნებდნენ სწავლის სხვადასხვა მიდგომების ცოდნას, მაგრამ არ გააჩნდათ პროგრამის საერთო ხედვა, რაც უნდა იქნეს შემუშავებული (იხილეთ სექცია 1.5).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კვალიფიკაციების შემაჯამებელი ცხრილი, გამოცდილება, სტატუსი, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობა პროგრამის მიწოდებაში. o პროგრამის აღწერის დოკუმენტი o 2017-2018 წლების ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტის საპროგნოზო ბიუჯეტი o გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციასთან; o გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: o შექმენით მექნიზმები რათა გამოუმუშაოთ პედაგოგებს "პროგრამის მფლობელობის" შეგრძნება. გამოკითხულმა პედაგოგებმა (როგორც აკადემიურმა, ისე მოწვეულმა) კარგად იციან თავიანთი საგნები, თუმცა ნაკლებად მთლიანი პროგრამა. სწავლების მეთოდებზე ტრენინგი, შედეგებზე დამყარებული მიდგომის გამოყენება, კარგი გამოცდილების გაზიარება, პროგრამის მიმოხილვაში აქტიური მონაწილეობა და ა.შ. შეიძლება იყოს ეფექტური ინსტრუმენტები პროგრამის შემუშავებაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o აკადემიური პერსონალისგან (მინიმუმ აფილირებული პერსონალისგან მაინც) მოითხოვეთ, რომ საქმიანობის წლიურ ანგარიშთან ერთად დამატებით წარმოადგინონ პირადი განვითარების 1-2 წლიანი გეგმა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს სწავლების უნარების, დაგეგმილი კვლევების, სამეცნიერო საქმიანობის აქტივობებს, რომელთაც განიხილავს უნივერსიტეტი და შეთანხმებული იქნება მასთან. პერსონალის განვითარების ფინანსირება შესაბამისად უნდა დაიგეგმოს ამის შემდეგ. o გაიზარდოს აკადემიური პერსონალის კვლევების პუბლიკაცია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. დაწესდეს მეტი სტიმულირება ჯილდოების, დაწინაურების ფორმით. o გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაცია, გაიზარდოს სხვა ქვეყნებიდან მოწვეული პერსონალის მონაწილეობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბა

☐ არარის შესაბამისობაში

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის აკადემიური კოორდინატორი იგივე პირია, რომელიც კურირებს ფაკულტეტის სხვა პროგრამებს ფინანსებში, მარკეტინგში და საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე პროგრამა იზიარებს გარკვეულ რესურსებსა და ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად კურსებს, ხელმძღვანელების აკადემიური და მენეჯერული კომპეტენციების ყოველგვარი რეზერვების გარეშე, კეთილგონიერი ექნება ოთხი განსხვავებული პროგრამის მენეჯმენტმა ჩართოს მეტი პირები სპეციფიკური აკადემიური ცოდნითა და გამოცდილებით.

დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესს და ქმნის წამახალისებელ გარემოს სტუდენტებისათვის. უნივერსიტეტის სრულად ფუნქციური ადმინისტრაციული აპარატი მოიცავს სამსახურებსა და ცენტრებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია სასწავლო პროცესებთან და სტუდენტთა დახმარებაზე, როგორიცაა

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი თამაშობს გადამწყვეტ როლს პროგრამის ადმინისტრირებაში: უზრუნველყოფს უწყვეტ საგანმანათლებლო პროცესს ლექტორებთან და სტუდენტებთან დაკავშირებით ლექციის გადადების/გაუქმების შემთხვევაში, ზედამხედველობს საბაკალავრო პროგრამას ყოველკვირეულად, ინფორმაციას აწვდის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს კვირის სალექციო და საგამოცდო განრიგზე, ზედამხედველობს სტუდენტების აკადემიური დავალიანების, სტატუსის შეჩერების საქმეებს და მათ დაშვებას სასწავლო/საგამოცდო პროცესზე, ეხმარება სტუდენტებს სასწავლო კომპონენტის არჩევაში, იღებს ინფორმაციას უნივერსიტეტთან დაკავშირებულ საკითხებზე და აგვარებს საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

სტუდენტურ საქმეთა ოფისი პესუხისმგებელია სტუდენტთა რეგისტრაციაზე, სტუდენტთა პერსონალურ საქმეებზე, სტუდენტთა სიების წარმოებაზე, გამოცდების შედეგების გამოქვეყნებაზე, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და ანალიზზე.

საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს გამოცდების ორგანიზებასა და წარმართვას უნივერსიტეტის "გამოცდების დებულების" შესაბამისად..

საკარიერო დაგეგმვის ოფისი უზრუნველყოფს სტყდენტებისათვის ინტერნატირას და ხელს უწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებს, მაშინ როცა, სწავლის პროცესის ადმინისტრატორი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად წარმართავს ფაკულტეტის საერთაშორისო

ურთიერთობებს; აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას გაცვლითი პროგრამების შესახებ და იღებს სტუდენტთა აპლიკაციების ასლებს, წარადგენს შემოსულ განცხადებებს გადაწყვეტილების მისაღებად ფაკულტეტის საბჭოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში; აწვდის ინფორმაციას გაცვლითი პროგრამისათვის შერჩეულ სტუდენტებს და ეხმარება მათ საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და სავიზო პროცედურებში, ეხმარება გაცვლითი პროგრამის სტუდენტებს პროგრამის კოორდინატორთან მასპინძელ უნივერსიტეტში სასწავლო კურსების/კომპონენტების შერჩევაში და მათი აღიარების პროცესში.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონიტორინგს უტარებს მთელ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ფაკულტეტის დონეზე და აქვს პასუხისმგებლობა სწავლებისა და კვლევის შეფასებასთან დაკავშირებული პროცესების განხორციელებაზე, აანალიზებს სტუდენტების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, წარუდგენს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელიც მოხსენიებული იყო კითხვარებში და აძლევა პროგრამის კოორდინატორს რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების თაობაზე.

სტუდენტებისა და პერსონალის დახმარების სამსახურს გაჩნია საერთო პასუხისმგებლობა, სტუდენტური კლუბების ოფისი ორგანიზებას უწევს კულტურულ და შემოქმედებით აქტივობებს და ამზადებს სტუდენტურ ჯგუფებთან ერთად შესაბამის ღონისძიებებს, დამხმარე სემინარებს, კონფერენციებს და დისკუსიებს კულტურისა და ხელოვნების საკითხებზე; კოორდინირებას უწევს და აკონტროლებს სტუდენტურ კლუბებს და ეხმარება მათ აქტივობებში, და სხვ. სპორტის ოფისი ეხმარება სპორტულ გუნდებს, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტს სხვადასხვა სპორტულ კონკურსებზე. ჯანმრთელობის მომსახურება და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება ხორციელდება დაქირავებული ექთნის მიერ, პირველი დახმარების კომპლექტები და მედიკამენტები ხელმისაწვდომია სამედიცინო ცენტრში.

გამოკითხული სტუდენტები და კურსდამთავრებულები კმაყოფილები არიან როგორც შზსუ-ში სწავლისას მიღებული ადმინისტრაციული დახმარებით, ისე სტუდენტური ცხოვრებით, გვაწვდიან რა მაგალითებს ჩართულობისა სპორტულ, კულტურულ და სოციალურ აქტივებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციასთან;
- სტრუქტურული ერთეულების რეგულაციები
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ბიზნესის ფაკულტეტის თითოეულ პროგრამას უნდა ჰყავდეს საკუთარი აკადემიური პროგრამის კოორდინატორი სპეციფიკური აკადემიური გამოცდილებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისო ☐ ნაწილობრივ შესაბა ☐ არ არის შესაბამისობაში

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლება დაფუძნებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურაზე, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის ბიბლიოთეკის მეშვეობით. სასწავლო მასალა, რომელიც გამოიყენება სილაბუსების უმრავლესობაში, შეესაბამება კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს. გამოქვეყნებული სილაბუსები ძალიან იშვიათად მიუთითებს სამეცნიერო ნაშრომს (რაც შეიძლება აუცილებლობის შემთხვევაში მიწოდებულ იქნეს ლექტორის მიერ) და იშვიათ შემთხვევაში ძირითადი ლიტერატურა შესაძლოა განახლებულ იქნეს უფრო ახალი გამოცემის სახელმძღვანელოთი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის აღწერილობა o პროგრამის სილაბუსები
რეკომენდაციები: o მუდმივად გადახედეთ და განაახლეთ სილაბუსების ლიტერატურა, როგორც სახელმძღვანელოები, ისე მითითებული მეცნიერული ნაშრომები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ☐ მეტწილად შესაბამის

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს ცენტრალიზებული ფინანსური გეგმა, ისევე როგორც, ფინანსური გეგმები თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

პროგრამის ადმინისტრირების გუნდმა წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტის ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს ამჟამად პროგრამის მდგრადობას სტუდენტთა რაოდენობის კლების ტენდენცია წარმოადგენს პრობლემას და საჭიროებს უნივერსიტეტის მხრიდან ყურადღების მიქცევას.

ამჟამად, ხარჯების ეკონომია მიღწეულია იმით, რომ BBA აქვს ერთი და იგივე ძირითადი კურსები ხუთივე საბაკალავრო პროგრამაზე, რომელთაც სთავაზობს ფაკულტეტი. ექსპერტთა ჯგუფს ინფორმირებულია, რომ უნივერსიტეტი გეგმავს ამ კონფიგურაციის შეცვლას ერთი პროგრამის შეთავაზებით ხუთი კონცენტრაციით (სპეციალიზაციით), მოსალოდნელიმა ცვლილებამ პროგრამები უფრო მიმზიდველი უნდა გახადოს სტუდენტებისათვის, ვინაიდან სტუდენტებს ექნებათ მეტი მოქნილობა სპეციალიზაციის არჩევაში უფრო ჩამოყალიბებულ ეტაპზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ექსპერტთა ჯგუფისთვის წარდგენილი პროგრამული ბიუჯეტის ანალიზი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის ფინანსური მდგრადობა მიღწეულ უნდა იქნეს ხარისხის გაუარესებით და სტუდენტებისათვის მიმზიდველობის შემცირებით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ☐ ნაწილობრივ შესაბა ☐ არ არის შესაბამისო

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		☒		

5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი რა თქმა უნდა, ყურადღებას ამახვილებს სწავლებისა და კვლევის ხარისხზე. შზსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, რომელიც ექვემდებარება უშუალოდ რექტორს, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს სამსახურის დირექტორს. ამჟამად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს აკადემიური პერსონალის წევრი. მისი წესდების თანახმად, სამსახური ახორციელებს თავის ფუნქციებს და ამოცანებს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" ციკლის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით. ხარისხის უზრუნველყოფის შინაგანაწესი ითვალისწინებს მის ჩართულობასა და მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესის თითქმის ყველა ასპექტში და *"აქვს უფლება იყოს ფაკულტეტებისა და სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების ინსტიტუტის საბჭოების წევრი და სამუშაო პროცესის მონაწილე".* ხელი შეუწყოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განხორციელებას ფაკულტეტებზე. ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციების ეფექტური განხორციელების მიზნით, თითეულ ფაკულტეტს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ყავს მიმაგრებული, რომლებიც კოორდინირებენ ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციებს ფაკულტეტის დონეზე. სწავლებისა და სწავლის პროცესის ელემენტებს აფასებენ სტუდენტები ყოველ სემესტრში, კურსდამთავრებულები აფასებენ მათ კმაყოფილებას სწავლით და სთავაზობენ რიგი

საკითხების გამოსწორებას, პედაგოგები აფასებენ მათ კურსებს დატვირთვისა და შინაარსის მიხედვით სექტორულ კომიტეტებში და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამუშავებს შედეგებს და გადასცემს მათ ფაკულტეტებსა და პროგრამის კოორდინატორებს . პედაგოგები ინფორმირებულნი არიან მათი საქმიანობის თაობაზე და არაადეკვატური შეფასებების შემთხვევაში ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის ჩარევა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დირექტორი და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები ქმნიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭოს. საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს, ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებში, სხვა საკითხებს კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა რეგულაციების შესაბამისად.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესები კარგადაა განსაზღვრული რეგულაციების დოკუმენტებში, როგორებიცაა შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, საგანმანათლებლო პროცესი, სამაგისტრო განათლება, სადოქტორო რეგულაციები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.

PDCA ფილოსოფიის ასპექტში, ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფამ მოამზადა ორი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს.

i. პროგრამის SWOT ანალიზი
ii. უნივერსიტეტის 2018-2025 წლების სტრატეგულ გეგმაზე დაფუძნებული "სამოქმედო გეგმა 2018-2021". სამოქმედო გეგმა მოიცავს ოთხ (4) ძირითად მიზანს: დასაქმების უნარებზე დაფუძნებული განათლების ხარისხის მუდმივი გაზრდა, კვლევის ხარისხის გაზრდა, ბიზნესთან და საზოგადოებასთან მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა, ლიდერობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესება, და გაანალიზებულია ქვე-მიზნებში, რაც საჭიროებს განსაკუთრებულ ქმედებებს, რომლებიც აღწერილი და დაგეგმილია მომავალი 3 წლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ განხორციელების პირველ საფეხურზეა, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა და მიიღო მტკიცებულება, რომ 2018 წლის პირველი ნახევრისათვის დაგეგმილი ქმედებები განხორციელდა და გრძელდება გეგმის შესაბამისად. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მიერ შესრულებულია შესანიშნავი სამუშაო და საჭიროა მისი წახალისება, რომ გააგრძელოს განხორციელება, გაზარდოს საჯაროობა დაინტერესებულ მხარეებში და მესაკუთრის შეგრძნება აკადემიურ პერსონალში.

უნივერსიტეტის ვებ-საიტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების ფაზაშია, უზრუნველყოფს შეზღუდულ წვდომას სტუდენტებისა და პერონალის, საგანმანათლებლო პროგრამების, ხარისხის უზრუნველყოფის ფორმების, აქტივობების და ა.შ. ინფორმაციაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეალისტურად უდგება უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას ფრაზით ვებ-გვერდზე: *"ჩვენ გვესმის, რომ ეს შესაძლოა ნელი პროცესი იყოს, მაგრამ გვსურს რომ გავაუმჯობესოთ ყოველდღიურად"*

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან
- გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციასთან;

- შინაგანაწესი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებისა და შედეგების საჯაროობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სრულყოფილი სამოქმედო გეგმა, რომელიც მომზადდა ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტის მიერ (ანალოგიური გეგმები მომზადდა სხვა ფაკულტეტებზეც), გაუმჯობესების სპეციფიკური ფარგლებითა და ვადებით, რომელსაც მონიტორინგს უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისო

☐ ნაწილობრივ შესაბა

☐ არ არის შესაბამისობაში

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წინა ნაწილში იყო ნახსენები, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები კარგადაა ჩამოყალიბებული და გარკვეული შედეგები პროგრამის გაუმჯობესებაში აშკარაა.

თვითშეფასების ანგარიში პირველი მცდელობაა ფორმალური შიდა მიმოხილვის განხორციელებისა აკრედიტაციისათვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფარგლებში. ანგარიში თავად, უფრო აღწერითია, ყოველგვარი გაზომვადი ინდიკატორების გარეშე - რაოდენობრივი მონაცემები არაა - არც არსებული სიტუაციის კრიტიკული ანალიზი, არც ტენდენციები, არც ძლიერი და სუსტი მხარეები, არც პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება და სხვ. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ანგარიში ვერ აფასებს პროგრამას და მასში მომუშავე ხალხს. ადგილზე ვიზიტამდე და ვიზიტის

პროცესში წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუები, იყო ღირებული პროგრამის შეფასებისათვის. შიდა შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს პროგრამის შესრულების კრიტიკული მიმოხილვისა და მომავალი განვითარების წარმართვისათვის. იგი უნდა ჩატარდეს პერიოდულად, გარე შეფასებისაგან დამოუკიდებლად, ისევე მკაცრად და საფუძვლიანად, როგორც გარე შეფასება, დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობით და მაქსიმალური საჯაროობით. ამ თვალსაზრისით, შიდა შეფასება ეხმარება უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარებაში და სწავლებისა და სწავლის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o გასაუბრება დაინტერესებულ მხარეებთან o ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტები
რეკომენდაციები: o თვითშეფასების ანგარიში უნდა იყოს უფრო ანალიტიკური და კრიტიკული პროგრამის მიმოხილვის ყველა ასპექტში, უნდა იყოს საჯარო აკადემიური საზოგადოებისათვის და განხილული პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა ფორმალურ შეხვედრებზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბა ☐ არ არის შესაბამისო

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის	☒			

განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია(არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მართვა (მენეჯმენტი) (ისწავლება ინგლისურ ენაზე)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1 პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.			☒	
2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			
3 სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4 სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პანდელის იპსილანდისი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თეა კასრაძე

ბექა მარუაშვილი

ანა გვრიტიშვილი